თბილისში მცხოვრებ ბოშათა საზოგადოებაში ინტეგრაციის პრობლემა

ქეთევან მღებრიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: სოციოლოგია

ხელმძღვანელი: პროფესორი გიგი თევზაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2017 წელი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთევან მღებრიშვილი

_____

თარიღი: 30.01.2017

აბსტრაქტი

საქართველოს სახელმწიფოში ბევრი ეთნიკური უმცირესობა ცხოვრობს, რომლებიც თანასწორუფლებიანობის კანონიდან გამომდინარე, აქტიურად არიან ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში. თუმცა ამ მხრივ ცუდი მდგომარეობა აქვთ ბოშათა თემის წარმომადგენლებს. ეს ეთნიკური უმცირესობა საზოგადოებისგან მარგინალიზებულია და ცალკე ჯგუფს წარმოადგენს. ეს თემა აქტუალურია 90-იანი წლებიდან მოყოლებული და დღემდე პრობლემურ საკითხად რჩება როგორც ბოშების, ასევე სრულიად საქართველოს საზოგადოებისათვის. ბოშათა თემის წინაშე დღემდე დგას რიგი ისეთი პრობლემებისა, როგორიცაა: განათლებასა და ჯანდაცვაზე ხელმიუწვდომლობა, დოკუმენტაციის არარსებობა, ეკონომიკური სიდუხჭირე და ა. შ.

ზემოთაღნიშნული პრობლემების გამომწვევი მიზეზების დასადგენად ჩატარდა როგორც ბოშათა თემის, ასევე ეთნიკურად სხვა ეროვნების წამომადგენლების კვლევა. საკვლევ მეთოდად გამოყენებული იქნა თვისებრივი მეთოდი, რომელიც ძირითადად წარმოდგენილია ღია კითხვებით. იქიდან გამომდინარე, რომ კვლევა ტარდებოდა ორი სხვადასხვა ჯგუფისათვის, შეირჩა სხვადასხვა ტიპის საკვლევი კითხვები. შედეგების შეჯამებამ გვაჩვენა, რომ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ბოშათა თემთან დაკავშირებით სწორი გადაწყვეტილება იყო, რადგან მივიღეთ არსებული მდგომარეობის ამსახველი, შედარებით უფრო სრული სურათი, ვიდრე გვქონდა აქამდე ჩატარებულ კვლევათა შედეგებიდან. კერძოდ, გამოვლინდა ინფორმაციის ნაკლებობისა და უნდობლობის პრობლემა ორივე მხარის წარმომადგენლებისგან. ასევე, ბოშათა თემში ორგანიზაციული სტრუქტურის არარსებობა, რაც დაეხმარებოდა მათ ყოფითი პრობლემების მოგვარებაში. და ბოლოს, სახელმწიფოს გულგრილი დამოკიდებულება ბოშათა თემის მიმართ.

საკითხის აქტუალობიდან გამოომდინარე, აღნიშნული შედეგები მნიშვნელოვანია როგორც თავად ბოშებისათვის, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებისა და ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციის საკითხებით დაინტერესებული ორგანიზაციებისათვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ეთნიკური უმცირესობები; ბოშები; სახელმწიფო სტრუქტურები; საზოგადოებაში ინტეგრაცია.